ჭადრაკისა და შაშის კლუბი „ლაზიერი
“დებულება

მუხლი 1. წრის სტატუსი

2023 წელს, ბათუმის №2 საჯაროს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოს წევრებისა და საბჭოს თავჯდომარის არჩევნებზე, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოქმედი თავჯდომარის, ალექსანდრე მჟავანაძის ინიციატივამ, რომელიც მოიცავდა სკოლაში ჭადრაკისა და შაშის კლუბის შექმნას სკოლაში, დიდი მოწონება დაიმსახურა საბჭოს წევრებში, რის შედეგადაც სკოლაში ჩატარდა გამოკითხვა.
- გამოიკითხა 100 მოსწავლე.
- მოსწავლეთა 90% (90 მოსწავლე) გამოთქვამს სურვილს ამ კლუბში გაწევრიანების შესახებ.
- ხოლო, გამოკითხულ მოსწავლეთა 100% (100 მოსწავლე) მიიჩნევს, რომ კლუბის შექმნა სკოლაში აუცილებელია, რაც დაეხმარება სკოლისა და მოსწავლეების განვითარებას.

ამრიგად, სკოლაში გამოწვეული დაინტერესების საფუძველზე და ჩატარებული გამოკითხვის ანალიტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლაში ჭადრაკისა და შაშის კლუბის შექმნა აუცილებელია, რაც მოსწავლეებს, მისცემს ამ თამაშების შესწავლის შესაძლებლობას, უსაფრთხო და საინტერესო გარემოში.

მუხლი 2. წრის წევრობა

- წრის წევრი შეიძლება გახდეს სკოლის ნებისმიერი მოსწავლე ასაკის მიუხედავად, რომელიც იზიარებს წრის მიზნებს
- წრის წევრობა ნებაყოფლობითია; სამოტივაციო განცხადების საფუძველზე მშობლის თანხმობით..
- წრის გაწევრიანებაზე გადაწყეტილება მიიღება წრის ლიდერის მიერ, წრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

მუხლი 3. მიზნები და ამოცანები

1. მიზნები

- კლუბში გაწევრიანებული მოსწავლეებისთვის ამ
- თამაშის წესების, ისტორიისა და პრინციპების სწავლება, თანამედროვე და საინტერესო
- მეთოდოლოგიით.

2. ამოცანები

- ჭადრაკისა და შაშის თამაშის წესების სწავლება;
- ჭადრაკისა და შაშის მოთამაშეთა რაოდენობის გაზრდა;
- ჭადრაკისა და შაშის პოპულარიზაცია;
- დაინტერესებულ პირთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფი - ბენეფიციარები

კლუბი გათვლილია: მე-5-11 კლასის მოსწავლეებისთვის.

მუხლი 5. სამოქმედო გეგმა

- შეიქმნება კლუბი (22 თებერვალს);
- შეირჩევა სამუშაო ადგილი კლუბისთვის (31-ე აუდიტორია);
- აღიჭურვება კლუბი სკოლაში არსებული ინვენტარით (5 ჭადრაკის დაფა);
- დაიწყება კლუბში მოსწავლეების გაწევრიანება (მე-7-12 კლასის მოსწავლეები);
- კლუბი დაიწყებს აქტიურად მუშაობას:

შეხვედრა N1 - მოსწავლეების რეგისტრაცია - კლუბის მიზნების და სამუშაო გეგმის გაცნობა;
შეხვედრა N2 - ჭადრაკისა და შაშის თამაშების ისტორიის და ამ თამაშების მნიშვნელობის გაცნობა;
შეხვედრა N3 - შაშის წესების შესწავლა;
შეხვედრა N4 - ჭადრაკის წესების შესწავლა;
შეხვედრა N5, N6, N7 და N8 - სწავლება;
შეხვედრა N9 - მოწვეული მენტორების მასტერკლასები;
შეხვედრა N10 - სკოლის დახურული ტურნირი ჭადრაკსა და შაშში.

- მუხლი 6 . პროექტის ხანგრძლივობა
  კლუბი დაიწყებს ფუნქციონირებას 22 თებერვალს და განაგრძობს 9 ივნისამდე. კლუბზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგის მიხედვით, კლუბი განაახლებს მუშაობას შემდეგ სასწავლო სემესტრშიც.

მუხლი 7. განმახორციელებელი ჯგუფი

- კლუბს მართავს და თამაშების სწავლებას გაუძღვება, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭო და ჭადრაკისა და შაშის ჩემპიონი მოსწავლეები.
- ასევე, მოვიწვევთ მენტორებს "აჭარის ჭადრაკის ფედერაციიდან", რომლებიც ჩაუტარებენ ერთდღიან მასტერკლასებს კლუბის წევრებს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება:

• წრე იკრიბება ორ კვირაში ერთხელ, ასევე საჭიროებისამებრ.
• წრე მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ